ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 68

"3" აპრილი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №15ა-ში მდებარე 5 001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.030.048) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №15ა-ში მდებარე 5001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.030.048) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 მარტის №20.365.423 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №15ა-ში მდებარე 5,001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.04.030.048) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით - 351,000 (სამას ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, შპს „ნინას" (ს/კ: 405233144) და შპს „სუბიექტის" (ს/კ: 405234170) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული 1010 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.16.004.222 - შპს ,,ნინა") და 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.16.004.223 - შპს ,,სუბიექტი") ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**